საზაფხულო სკოლა „ქართული ხელნაწერი“

ქართველოლოგიური საზაფხულო სკოლა ქართული ხელნაწერი მე-5 წელია ტარდება. პროექტი ითვალისწინებს 16 მონაწილის (8 უცხოელი და 8 საქართველოს მოქალაქე) ჩართულობას ამ პროგრამაში, რომელიც აერთიანებს - სტუდენტებს (მაგისტრანტები, დოქტორანტები) და ახალგაზრდა მეცნიერებს (მაგისტრები და დოქტორები, რომელთაც დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭათ ბოლო შვიდი წლის პერიოდში), რომელთაც აქვთ სამეცნიერო ინტერესი კავკასიის რეგიონისა და ქართველოლოგიური კვლევების მიმართ.

წინა წლებში პროქტში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ მხოლოდ უცხოელ დაინტერესებულ პირებს. წელს პროეტმა მიიღო ასევე რეგიონიული სახე. მთელი საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა რეგიონიდან ღებულობენ მონაწილეობას პროექტში.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისათვის ძალიან მნიშვნელოვანია მსგავსი პროექტების განხორციელება ვინაიდან, ამ დაწესებულების მიზანია მაქსიმალურად გააცნოს აქ დაცული კულტურული მემკვიდრეობა ფართო საზოგადოებას როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ.

საზაფხულო სკოლის ფარგლებში მონაწილეებს უტარდებათ ძალიან საინტერესო ლექციები სხვადასხვა თემატიკაზე მაგალითად: ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ, საწერი მასალებისა და საშუალებების შესახებ, ინსტორიული დოკუმენტების და სხვა თემების შესახებ.

ლექცებს ატარებენ ქართული სამეცნიერო სფეროს მნიშვნელოვანი წარმომადგენლები მაგალითად ისეთი როგორიცა მზექალა შანიძე.

გარდა ლექციებისა მონაწილეებს უტარდებთ ვორქშოფები ქართული კალიგრაფია, უძველესი მეთოდით ქაღალდის დამზადება და სხვ. ასევე პროექტის ფარგლებში დაგეგმილია გასვლითი ლექციები, რომელთა მეშვეობითან მონაწილეები პირადად გაეცნოებიან ქართულ ძეგლებს და გაეცნობიან საქართველოს ისოტორიას.

საზაფხულო სკოლის დასრულების შემდეგ სკოლის მსმენელებს გადაეცემათ სერთიფიკატი.